

საქართველოს კანონი
„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №76, 29.12.2010, მუხ. 500) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“-„ჟ“ ქვეპუნქტები:

„ნ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევისაგან დაცვას, აგრეთვე თამბაქოს ინდუსტრიასთან სახელმწიფოს ურთიერთობას საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ო) თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტის, თამბაქოს ნაწარმისაგან გამოფრქვეული ნივთიერების და თამბაქოს შეფუთვის კონტროლს;

პ) საქართველოში თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედ რეგულაციებთან თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირთა ქმედებების შესაბამისობის მიუხედავად, მათი სისხლისსამართლებრივი ან სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შეუძლებლობას ამგვარი პასუხისმგებლობისათვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

ჟ) კანონით დაშვებული სხვა ღონისძიებების განხორციელებას ამ კანონის მიზნებისა და თამბაქოს კონტროლის შესახებ ჩარჩო კონვენციის ამოცანებისა და პრინციპების შესრულებისათვის.“.

2. მე-3 მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) თამბაქოს ნაწარმი - თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნებისმიერი ნაწარმი, გარდა ნიკოტინის შემცველი სამკურნალწამლო საშუალებებისა, რომლებიც განკუთვნილია მოსაწევად, დასაღეჭად, საწუწნად ან შესასუნთქად, მათ შორის:

ა.ა) ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტები;

ა.ბ) პაპიროსები, სიგარები და სიგარილები;

ა.გ) საჩიბუხე და ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქო;

ა.დ) შესახვევი თუთუნი;

ა.ე) დასაღეჭი, საწუწუნი და შესასუნთქი თამბაქო;

ა.ვ) ელექტრონული სიგარეტებისა და სხვა მსგავსი მოწყობილობების ნიკოტინის შემცველი მასალები/კარტრიჯები/კაფსულები.“;

ბ) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა¹“ ქვეპუნქტი:

„ა¹) თამბაქოს აქსესუარი ან/და მისი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა - მუდშტუკი, ჩიბუხი, ჩილიმი, შესასუნთქი ან საწუწნი თამბაქოს მოწყობილობა, ელექტრონული სიგარეტი და სხვა მსგავსი მოწყობილობა, სიგარეტის ასანთები სპეციალური საანთებელა, თამბაქოს გასახვევი ქაღალდი, თამბაქოს შესახვევი ან დასაჭრელი აპარატი, საფერფლე, ნებისმიერი სახის პორტსიგარა ან სხვა საგანი, რომელიც განკუთვნილია უპირატესად თამბაქოს მოხმარებისთვის ან/და შენახვისთვის, აგრეთვე სიგარეტის, მისი კოლოფის ან ზემოაღნიშნული საგნების ილუსტრაცია ან გამომსახველი სხვა საგანი;“;

გ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) თამბაქოს მოწევა - თამბაქოს ნაწარმის წვის ან გახურების შედეგად გამოყოფილი კვამლის ან ორთქლის შესუნთქვა;“;

დ) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე¹“ ქვეპუნქტი:

„ე¹) სიგარაბარი - სპეციალური დაწესებულება, რომელიც მოწყობილია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვის საფუძველზე და რომელშიც დაშვებულია ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სიგარის მოწევა.

ე) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) სამედიცინო გაფრთხილება - თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ გამაფრთხილებელი წარწერა, რომელიც უნდა მოიცავდეს შესაბამის პიქტოგრამას;“;

ვ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტი - თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობაში მყოფი თამბაქო, დანამატი, ნებისმიერი ნივთიერება ან ელემენტი ქაღალდის, ფილტრის, კაფსულის, მელნის და წებოს ჩათვლით;

ზ) „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ¹“ ქვეპუნქტი:

„თ¹) დანამატი - ნებისმიერი ნივთიერება ან მასალა, გარდა თამბაქოს ფოთლისა, რომელიც ემატება თამბაქოს ნაწარმს;“;

თ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) სამინისტრო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;“;

ი) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) თამბაქოს ნაწარმისგან გამოფრქვეული ნივთიერება - ნივთიერება, რომელიც გამოიყოფა თამბაქოს ნაწარმის დანიშნულებისამებრ მოხმარების შედეგად. კერძოდ, სიგარეტის ან სხვა სახის მოსაწევი თამბაქოს კვამლში შემავალი ნივთიერება, გამოყოფილი მოსაწევი

თამბაქოს მოხმარების შედეგად, აგრეთვე, საღეჭი, საწუწუნო, შესასუნთქი თამბაქოს მოხმარების შედეგად გამოყოფილი ნივთიერება;“;

კ) „ლ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ლ) „ჟ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

მ) „ს“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ნ) „უ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ფ“ და „ქ“ ქვეპუნქტები:

„ფ) შენობა-ნაგებობა - ნებისმიერი კონსტრუქცია (გარდა სატრანსპორტო საშუალებისა), რომელსაც გააჩნია იატაკი, ნებისმიერი სახის სახურავი ან ჭერი და ზედაპირის (გარდა სახურავისა, ჭერისა, იატაკისა) მინიმუმ 1/2-ზე გააჩნია ნებისმიერი სახის ან/და მასალის მოძრავი ან უძრავი კედლები (ღია ან დახურული ფანჯრის და კარის ჩათვლით);

ქ) საზოგადოებრივი ტრანსპორტი - ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის, ავტობუსი, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალება, საჰაერო ხომალდი, მეტროპოლიტენი, მატარებელი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, გემი და სხვა სანაოსნო საშუალება, რომელიც გამოიყენება ადამიანების გადასაყვანად, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ ან/და კომერციული მოგების მიზნით.“.

3. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. თამბაქოს კონტროლის ღონისძიებები და თამბაქოს კონტროლის სფეროს მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

1. საქართველოს მთავრობა ახორციელებს თამბაქოს კონტროლის გრძელვადიან სახელმწიფო სტრატეგიას და ყოველწლიურ სახელმწიფო პროგრამას.

2. საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განისაზღვრება:

ა) საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისაგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი გაზი) ზღვრულად დასაშვები ნორმები, გაზომვისა და რეგულირების წესები, თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით;

ბ) თამბაქოს ნაწარმზე (კოლოფზე/ბლოკზე, შეფუთვაზე) სამედიცინო გაფრთხილებების (მათ შორის, პიქტოგრამისა და ტექსტური წარწერის) დატანის წესი;

გ) საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის და მისი შეფუთვის სტანდარტიზების წესი.

3. ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისაგან გამოფრქვეული ნივთიერებების გაზომვა უნდა უზრუნველყოს თამბაქოს აღნიშნული ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა საკუთარი ხარჯებით. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა უნდა დაადასტუროს გაზომვის სტანდარტების შესაბამისად ჩატარება და სამინისტროს ყოველი წლის 31 მაისამდე უნდა წარუდგინოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამ დოკუმენტების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით. თამბაქოს მწარმოებელი ან/და იმპორტიორი

უზრუნველყოფენ თამბაქოს აღნიშნული ნაწარმის შესაბამისობას დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებთან. ამასთანავე, თამბაქოს მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა ამ პუნქტში აღნიშნულ ვადაში უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტების (კერძოდ, ინგრედიენტების ჩამონათვალის, რაოდენობის და წონის) შესახებ.

4. ამ კანონით განსაზღვრული თამბაქოს წარმოების, იმპორტისა და რეალიზაციის აკრძალვის/შეზღუდვის წესები გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი ლიცენზიით/ნებართვით/ავტორიზაციით განსაზღვრულ საქმიანობის განმახორციელებ პირთა სალიცენზიო, სანებართვო ან/და საავტორიზაციო პირობებში.

5. თამბაქოს კონტროლის სფეროში ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემოწმება არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს და შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

6. საჯარო დაწესებულებას, სახელმწიფო მოსამსახურეს და საჯარო მოსამსახურეს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და დანერგვის პროცესში თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია იმისთვის, რომ მათ თამბაქოს წარმოებასა და თამბაქოს ნაწარმთან დაკავშირებით ეფექტიანი რეგულირების შესაძლებლობა მიეცეთ. თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან ურთიერთობის აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნულმა პირებმა მათთან სახელმწიფოს ურთიერთობა უნდა წარმართონ გამჭვირვალედ, საჯარო განხილვების, ურთიერთობის შესახებ საჯარო შეტყობინებისა და შემუშავებული დოკუმენტების საზოგადოებისთვის გაცნობის გზით. ზემოაღნიშნულ ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

4. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და მისი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაცია ან/და განლაგება“;

1. აკრძალულია 18 წლამდე პირთა ჩაბმა თამბაქოს ინდუსტრიაში.

2. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და მისი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაცია ან/და განლაგება:

ა) საგანმანათლებლო (ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული), საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე 50 მეტრის რადიუსში (დაწესებულების ტერიტორიის უახლოესი წერტილიდან);

ბ) საჯარო დაწესებულებაში; ყველა სახის სამედიცინო, სპორტულ და კულტურულ დაწესებულებაში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე;

გ) სავაჭრო ობიექტის იმ სექციაში, სადაც ბავშვის ტანსაცმელი, კვების პროდუქტი ან/და სათამაშო იყიდება;

დ) ერთეული ღერებით, ერთეული შეფუთვით (კოლოფით), თუ მასში 20 ღერ სიგარეტზე ნაკლებია ან მეტია;

ე) შეფუთვის გარეშე (გარდა თამბაქოს აქსესუარისა ან/და მისი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობისა);

ვ) 18 წლამდე პირებზე;

ზ) ელექტრონული ან მექანიკური მანქანის საშუალებით;

თ) თუ საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმი დამზადებულია საქართველოს კანონმდებლობით დარღვევით;

ი) უფასოდ ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, მათ შორის სამხედრო მოსამსახურეების სადღეღამისო ულუფაში შეტანით;

კ) ინტერნეტით ან ფოსტით (საცალო ვაჭრობით);

ლ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე 50 მეტრის რადიუსში;

მ) ვიტრინებზე, ვიტრაჟებზე, დახლზე, თაროზე ან ნებისმიერი სხვა სახით იმგვარად, რომ ხილვადია ობიექტის გარედან (გარდა სიგარეტის ასანთები სპეციალური სანთებელისა, საფერფლისა და პორტსიგარისა, რომლებზეც არ არის დატანილი თამბაქოს ინდუსტრიაში ჩართულ პირთა ნაწარმის სასაქონლო ნიშანი ან/და დასახელება, აგრეთვე აეროპორტში საბაჟო ტერიტორიის თავისუფალ ზონაში რეალიზაციისა და განლაგების შემთხვევებისა);

ნ) ვიტრინებზე, ვიტრაჟებზე, დახლზე, თაროზე ან ნებისმიერი სხვა სახით იმგვარად, რომ იგი ხილვადია ობიექტის შიგნიდან (გარდა სიგარეტის ასანთები სპეციალური სანთებელისა, საფერფლისა და პორტსიგარისა, რომლებზეც არ არის დატანილი თამბაქოს ინდუსტრიაში ჩართულ პირთა ნაწარმის სასაქონლო ნიშანი ან/და დასახელება, აგრეთვე აეროპორტში საბაჟო ტერიტორიის თავისუფალ ზონაში რეალიზაციისა და განლაგების შემთხვევებისა);

ო) თამბაქოს ნაწარმის ან მისი აქსესუარის რეალიზაცია იმგვარად, რომ ობიექტიდან მისი მიწოდება ხდება უშუალოდ სატრანსპორტო საშუალებაში მსხდომთათვის;

პ) სტანდარტიზებული შეფუთვის გარეშე.

3. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და მისი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების საშუალებით დარიგება ან გათამაშება, ან რაიმე სხვა ფორმით გათამაშება ან/და ამგვარ ღონისძიებებში თამბაქოს ნაწარმის, ან მისი რომელიმე ნაწილის საშუალებით, თამბაქოს აქსესუარის ან/და მისი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის საშუალებით ან მათი განაწილებით მონაწილეობა, ასევე, ყველა სხვა სახით თამბაქოს ნაწარმის პოპულარიზაცია, მათ შორის:

ა) საჩუქრის გაცემა ან შეთავაზება, თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და მისი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის გადაცემა ან თამბაქოს ნაწარმის გასინჯვის შეთავაზება თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და მისი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაციის მიზნით;

ბ) ინიციატივის განმტკიცება ან ერთგულების სქემები, როგორცაა კუპონების დარიგება თამბაქოს ნაწარმის გაყიდვისას;

გ) პირდაპირი პერსონალური კომუნიკაციები, ქსელური მარკეტინგი, რომელიც ახდენს ან შესაძლოა მოახდინოს თამბაქოს ნაწარმის, ან თამბაქოს მწარმოებლის ან საბითუმო მოვაჭრის პოპულარიზაცია;

დ) ინდივიდებზე გამიზნული საპოპულარიზაციო მასალები, მათ შორის საინფორმაციო მასალები, როგორცაა პირდაპირი გზავნილი, ტელემარკეტინგი, მომხმარებელთა კვლევა, რომელიც ახდენს ან შეიძლება მოახდინოს თამბაქოს ნაწარმის, ან თამბაქოს მწარმოებლის ან საბითუმო მოვაჭრის პოპულარიზაცია;

ე) თანხის გადახდა, ჯილდო ან სხვაგვარი წვლილის შეტანა საცალო მოვაჭრის საქმიანობაში, რომელიც გამიზნულია მათი მოტივირებისათვის გაყიდონ მეტი თამბაქოს ნაწარმი;

ვ) თამბაქოს მწარმოებლის, იმპორტიორის ან საბითუმო მოვაჭრის, მათთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული პირების მიერ თანხის გადახდა ან სხვაგვარი წვლილის შეტანა ღონისძიებაში, ინდივიდუალური პირის ან ორგანიზაციის საქმიანობაში, რომელიც შედეგად ახდენს თამბაქოს ნაწარმის, მწარმოებლის, იმპორტიორის ან საბითუმო მოვაჭრის ან მათი წარმომადგენლის პოპულარიზაციას;

ზ) ისეთი სათამაშოს, ტკბილეულის ან სხვა არათამბაქოს ნაწარმის გაყიდვა ან დარიგება, რომელიც წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის ილუსტრაციას, სიმულაციას ან იმიტირებას.

4. თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში უნდა განთავსდეს კანონმდებლობით დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილება და თამბაქოზე უარის თქმის მსურველთათვის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი კონსულტაციის მისაღებად, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 18 წლამდე პირებზე თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და მისი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის გაყიდვა აკრძალულია. ასეთი სამედიცინო გაფრთხილება უნდა განთავსდეს არანაკლებ A4 ფორმატის ქაღალდზე.

5. თუ თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და მისი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზატორი ვერ ადასტურებს, რომ თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და მისი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის მყიდველი პირი 18 წელს მიღწეული პირია, იგი ვალდებულია, რომ პირს მოსთხოვოს მისი სრულწლოვანების დამადასტურებელი დოკუმენტი და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ პირი 18 წელს მიღწეული პირია, მიჰყიდოს მას თამბაქოს ნაწარმი, თამბაქოს აქსესუარი ან/და მისი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა.“.

5. მე-6 მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის დასახელება, მისი შეფუთვის ან/და ეტიკეტის რომელიმე ელემენტი არ უნდა შეიცავდეს რაიმე ყალბ, შეცდომაში შემყვან ან არასწორი წარმოდგენის შემქმნელ ინფორმაციას თამბაქოს ნაწარმის თვისებების, მავნე ზემოქმედების ან გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების შესახებ, ასევე არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ან რომელიმე უცხოურ ენაზე რაიმე ისეთი სიტყვა, აბერევიატურა ან გამოსახულება, გრაფიკი, ციფრი, ნიშანი, რომელიც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით შექმნის არასწორ წარმოდგენას თამბაქოს ნაწარმის ნაკლებ მავნელობაზე სხვა ნაწარმთან შედარებით, მათ შორის, მათი გამოყენება ბრენდის ან სავაჭრო ნიშნის დასახელებაში. ზოგიერთი ასეთი სიტყვაა: „მსუბუქი“, „რბილი“, „ნაკლებად მძაფრი“, „ულტრამსუბუქი“, „დაბალი შემცველობით“, „ექსტრა“, „ულტრა“, „მენტოლი“.

2. თამბაქოს ნაწარმის თითოეულ კოლოფსა/შეფუთვისა და ბლოკზე (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თამბაქოს ნაწარმისა) განთავსებული უნდა იყოს კანონმდებლობით დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილება, რომელიც უნდა მოიცავდეს ძირითად გაფრთხილებას, დამატებით გაფრთხილებას (საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული შესაბამისი პიქტოგრამით, ხოლო ამ კანონის

მე-3 მუხლის „ა.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - შესაბამისი ტექსტური წარწერით) და საკონტაქტო ტელეფონის ნომერს.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ ვდაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაში განთავსებულ უნდა იქნეს ამ ნაწარმის შესახებ შესაბამისი საინფორმაციო ფურცელი.

გ) მე-3-მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს მთავრობა ამტკიცებს ძირითადი სამედიცინო გაფრთხილების 3 ნიმუშს, დამატებითი სამედიცინო გაფრთხილების 9 ნიმუშს და შესაბამისი პიქტოგრამის 9 ნიმუშს, ტექსტური წარწერის 1 ნიმუშს, შესაბამისი საინფორმაციო ფურცლის ფორმებს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს, აგრეთვე სამედიცინო გაფრთხილებების კომპიუტერულ შრიფტსა და ზომას, გამოსახულების ხარისხის შესაბამის პარამეტრებს.

4. პიქტოგრამის ნიმუში უნდა შეესაბამებოდეს და შეიცავდეს დამატებითი სამედიცინო გაფრთხილების ტექსტს და უნდა იკავებდეს სამედიცინო გაფრთხილების საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ნაწილს.

5. სამედიცინო გაფრთხილებები ექვემდებარება როტაციას შემდეგი სახით:

ა) თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა წლის განმავლობაში ყველა ძირითადი სამედიცინო გაფრთხილება უნდა გამოიყენოს იმგვარად, რომ ისინი თანაბრად განაწილდეს გასაყიდი თამბაქოს ნაწარმის ყოველი სახეობის კოლოფებსა/შეფუთვებსა და ბლოკებზე;

ბ) თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა წლის განმავლობაში უნდა აირჩიოს 3 დამატებითი სამედიცინო გაფრთხილება, შესაბამისი პიქტოგრამებით, იმგვარად, რომ ისინი თანაბრად განაწილდეს გასაყიდი თამბაქოს ნაწარმის ყოველი სახეობის კოლოფებსა/შეფუთვებსა და ბლოკებზე.“;

დ) მე-6 პუნქტის:

დ.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დაბეჭდილი შეფუთვაზე, გარდა გარე გამჭვირვალე შეფუთვისა, არ უნდა იყოს დაფარული, დამახინჯებული ან შეცვლილი და თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის გახსნისას არ უნდა დაზიანდეს ან არ უნდა მოსცილდეს მას;“;

დ.ბ) „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) დაბეჭდილი კომპიუტერული შრიფტით, გამუქებულად, თეთრ ფონზე შავი ასოებით ან შავ ფონზე თეთრი ასოებით; თეთრი ფონი შემოფარგლული უნდა იყოს შავი ჩარჩოთი, ხოლო შავი ფონი – თეთრი ჩარჩოთი, რომელიც არ კვეთს და არ ეხება ასოებს; ჩარჩოს ხაზის სისქე უნდა იყოს 13 მმ;

დ) განთავსებული შეფუთვის წინა და უკანა დიდ გვერდებზე, ზედა და ქვედა კიდეების პარალელურად, და არ უნდა იკავებდეს გვერდის საერთო ფართობის 65 პროცენტზე ნაკლებს, რომლებშიც შედის შემომფარგვლელი ხაზები, ხოლო ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თამბაქოს ნაწარმისათვის - განთავსებული შეფუთვის წინა და უკანა დიდ

გვერდებზე და არ უნდა იკავებდეს გვერდის საერთო ფართობის 30%-ზე ნაკლებს, რომლებშიც შედის შემომფარგვლელი ხაზები;“;

დ.გ) „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) დამატებითი გაფრთხილება განთავსდეს კოლოფის წინა გვერდზე, ხოლო ძირითადი გაფრთხილება უკანა გვერდზე.“;

ე) მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სამედიცინო გაფრთხილება არ შეიძლება დაიფაროს სხვა დაბეჭდილი ინფორმაციით ან რაიმე გამოსახულებით.“.

ზ) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9-მე-12 პუნქტები:

“9. ამ კანონით და საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტით განისაზღვრება თამბაქოს ნაწარმის (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თამბაქოს ნაწარმისა) და მისი შეფუთვის სტანდარტიზების წესი, რომლის მიზანია:

ა) თამბაქოს ნაწარმის მიმზიდველობის შემცირება;

ბ) სამედიცინო გაფრთხილებების ეფექტურობისა და შემჩნევალობის გაზრდა;

გ) თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის მიერ თამბაქოს ნაწარმის ან მისი მოხმარების შესახებ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობის შემცირება.

10. თამბაქოს ნაწარმის (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თამბაქოს ნაწარმისა) შეფუთვაზე (კოლოფი, ბლოკი, კონტეინერი და ა.შ.) და თითოეულ ღერზე აკრძალულია ბრენდის, ლოგოს, სასაქონლო ნიშნის ან მისი სხვა აღმნიშვნელი ელემენტის გამოყენება. თამბაქოს ნაწარმის (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თამბაქოს ნაწარმისა) შეფუთვაზე (კოლოფი, ბლოკი, კონტეინერი და ა.შ.) ნებისმიერი წარწერა უნდა იყოს ერთიანი უნიფიცირებული შრიფტით, საქართველოს სახელმწიფო ენაზე და მითითებული უნდა იყოს მწარმოებელი ქვეყანა. ამასთანავე, ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე, პაპიროსებზე, სიგარეტსა და სიგარილეებზე აკრძალულია რაიმე სახის წარწერის დატანება.11. მთავრობა ნორმატიული აქტით იღებს გადაწყვეტილებას თამბაქოს ნაწარმის (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თამბაქოს ნაწარმისა) შემდეგი მახასიათებლების ან/და ელემენტების დაშვების (გამოყენების), აკრძალვის ან მათ მიმართ რაიმე სახის მოთხოვნების შესახებ:

ა) თამბაქოს ნაწარმის ან მისი შეფუთვის ფერი, ზომა და ფორმა;

ბ) თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის მასალა და ფაქტურა;

გ) თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის გახსნის სახე;

დ) თამბაქოს ნაწარმის გარსი და შიგთავსი;

ე) თამბაქოს ნაწარმზე და მის შეფუთვაზე გარკვეული სიტყვები ან ნიშნები (მათ შორის გარკვეული სახის ბრენდის, ლოგოს ან სავაჭრო ნიშანი);

ვ) ის სიტყვები ან ნიშნები, რომელთა დატანა დაშვებულია თამბაქოს ნაწარმზე ან მის შეფუთვაზე;

ზ) თამბაქოს ნაწარმის და მისი შეფუთვის განმასხვავებელი მახასიათებლები, მათ შორის თამბაქოს ნაწარმის და მისი შეფუთვის იერსახის ან შინაარსის შეცვლისკენ მიმართული მახასიათებლები, მისი გაყიდვის შემდეგ ან ხმის გამოსაცემად ან სურნელის გამოსაფრქვევად;

თ) თამბაქოს შეფუთვაში ჩადებული ან გამოყენებული რაიმე სხვა საგანი ან მასალა, რომელიც არ არის ნაწარმის შეფუთვის ინტეგრალური ან აუცილებელი ნაწილი;

ი) თამბაქოს ნაწარმზე ან მის შეფუთვაზე მიმაგრებული რაიმე საგანი, გარდა სავალდებულო აქციზური მარკირებისა და ამ მუხით განსაზღვრული სამედიცინო გაფრთხილებისა;

კ) თამბაქოს ნაწარმის წონის განმსაზღვრელი, რომელიც შეიძლება იყოს თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაში;

ლ) თამბაქოს ნაწარმში რაიმე ისეთი ელემენტი ან მახასიათებელი, რომელიც გამოიწვევს ამ ნაწარმისთვის დამახასიათებელი გემოს მიცემას.

12. თამბაქოს ნაწარმზე (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის “ა.ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული თამბაქოს ნაწარმისა), შეფუთვაზე ბრენდის ან ვარიანტის სახელის გამოსახვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტის შესაბამისად. მთავრობის აღნიშნული აქტით შესაძლებელია განისაზღვროს:

ა) ბრენდის ან ვარიანტის სახელის სიგრძის ლიმიტი;

ბ) ბრენდის ან ვარიანტის სახელში გარკვეული სიტყვების და ფერების გამოყენების აკრძალვა, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი თამბაქოს ნაწარმის მახასიათებლების, ჯანმრთელობაზე ზეგავლენის, რისკის ან გამოფრქვეული ნივთიერებების შესახებ, ან იმის შესახებ, რომ თითქოს თამბაქოს ეს ნაწარმი სხვა ნაწარმთან შედარებით ნაკლებად სახიფათოა ან უკეთესია ნატურალურობის ან ორგანულობის თვალსაზრისით ან სასარგებლოა ცხოვრების ჯანსაღი წესისთვის;

გ) ისეთი სიტყვების ან ფრაზების გამოყენება, რომელიც წარმოადგენს მომხმარებელთა ეკონომიკურ წახალისებას;

დ) მოთხოვნები სიტყვების ან ნიშნების გამოსახვის წესის შესახებ, მათ შორის, მანერა და გარემოებები, რომელშიც ეს სიტყვები ან ნიშნები იქნება გამოსახული, ფონტის სახე, ზომა, ტიპი, აგრეთვე სიტყვების მდებარეობა და ორიენტაცია შეფუთვაზე.

13. ამ მუხლის მე-10-მე-12 პუნქტების შესაბამისად გამოცემული ნორმატიული აქტები არ უნდა ახდენდეს რაიმე სახის გავლენას ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე - დაარეგისტრიროს, ფლობდეს და განკარგავდეს სავაჭრო ნიშანს და საავტორო უფლებას.“

6. მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

7. მე-8 მუხლი ამოღებულ იქნეს.

8. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 9. თამბაქოს ექსპორტი და იმპორტი

1. თამბაქოს ექსპორტი და იმპორტი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ კანონით (გარდა ამავე კანონის მე-10 მუხლისა) დადგენილი რეგულაციები არ ვრცელდება პირის მიერ საკუთარ ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში ერთი კალენდარული

დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში - 30 კალენდარული დღის განმავლობაში საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ თამბაქოს ნაწარმის რაოდენობაზე. .

9. მე-10 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს:

„1. თამბაქოს მოწევა აკრძალულია:

ა) ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში, გარდა ამ მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ბ) საზოგადოებრივ ტრანსპორტში, გარდა ტაქსისა და კატერისა;

გ) საგანმანათლებლო (ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული), სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების, ნებისმიერი სხვა სასწავლო დაწესებულების, ბიბლიოთეკის, მოსწავლე-ახალგაზრდობის ბანაკების, ბავშვთა გასართობი ცენტრების და 18 წლამდე პირებისათვის განკუთვნილი სხვა დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, აგრეთვე 18 წლამდე პირებისთვის განკუთვნილ საზოგადოებრივ შეკრებებზე;

დ) სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, გარდა ამ მუხლის 1² პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ე) ბენზინგასამართი, გაზგასამართი და გაზგამანაწილებელი სადგურების, აგრეთვე იმ დაწესებულებათა შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, სადაც ინახება ცეცხლსაშიში ნივთიერებები;

ვ) სტადიონებზე.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ - 1⁴ პუნქტები:

„1¹. თამბაქოს მოწევა ნებადართულია შემდეგ შენობა-ნაგებობაში:

ა) ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილას (თუ ფიზიკური პირი/ფიზიკური პირის ოჯახი ფაქტობრივად ცხოვრობს ამ საცხოვრებელ ადგილას და ეს საცხოვრებელი ადგილი იმავდროულად სამეწარმეო საქმიანობის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი არ არის);

ბ) თამბაქოს კვამლის შემსწავლელი სპეციალიზირებული ლაბორატორიული დანადგარებში;

გ) პენიტენციურ დაწესებულებაში;

დ) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვის საფუძველზე მოწყობილ სიგარაბარში (მხოლოდ ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სიგარისა);

ე) სამორინეში;

ვ) აეროპორტის სატრანზიტო ზონაში ამ მუხლის 1³ პუნქტით განსაზღვრული წესით;

ზ) წინასწარი დაკავების იზოლატორში;

1². სტაციონარული ფსიქიატრიული და პალიატიური მკურნალობისათვის განკუთვნილ დაწესებულებებში თამბაქოს მოწევა შესაძლებელია ამ დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ სპეციალური ბრძანებით დადგენილი წესით, ზოგიერთი ქმედუუნარო ან მძიმე ავადმყოფი პაციენტისათვის, სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას, რომელიც დაწესებულების სხვა ნაწილისგან/ტერიტორიისგან სრულად (კედლებით) უნდა იყოს გამიჯნული, ჰქონდეს

ვენტილაცია ან ღია სივრცეში გამავალი ფანჯარა. ასეთი პაციენტისთვის, დაწესებულების ხელმძღვანელის სპეციალური ბრძანებით, თამბაქოს მოწევა შესაძლებელია პალატაშიც, თუ ის იზოლირებულია სხვა პაციენტებისაგან.

13. აეროპორტის სატრანზიტო ზონაში თამბაქოს მოწევა დასაშვებია მხოლოდ სპეციალურ მოსაწევ ოთახში, რომელიც არ უნდა იყოს 6 კვადრატულ მეტრზე მეტი, ჰქონდეს ცალკე სავენტილაციო სისტემა, თამბაქოს კვამლი არ უნდა ხვდებოდეს სხვა სივრცეში და ამ ოთახში არ უნდა ხდებოდეს საკვების და სასმელის შეტანა და მოხმარება. ამასთანავე, ერთ აეროპორტში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი სპეციალური მოსაწევი ოთახი. სპეციალური მოსაწევი ოთახისათვის დამატებითი მოთხოვნები შესაძლებელია დადგენილ იქნეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

„14. პენიტენციურ დაწესებულებაში თამბაქოს მოხმარების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით.“;

გ) მე-2-მე-6 ამოღებულ იქნეს;

დ) მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. აკრძალულია თამბაქოს მოწევის ან მოხმარების სხვა ფორმების დემონსტრირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, სხვა ბეჭდური ან ელექტრონული საშუალებით, მასობრივი ჩვენებისა და თეატრალური წარმოდგენის მეშვეობით, თუ ეს არ არის ღია სივრცეში პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას კადრში მწვევლის შემთხვევითი მოხვედრა.

8. დაწესებულება (იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად, მეწარმე სუბიექტი, საჯარო დაწესებულება, მათ შორის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო), ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა, ამ კანონით დადგენილი მოწევის აკრძალვა/შეზღუდვა;

ბ) არ დაუშვას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა, თამბაქოს მოხმარების შედეგად არსებული კვამლის, ფერფლის, ნამწვის არსებობა, აგრეთვე ჩილიმის განთავსება;

გ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა, თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები;

დ) განათავსოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა, ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები, თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესახებ შესაბამისი წარწერა და ნიშანი, აგრეთვე იმ პირის/დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომერი, ვისთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოხმარების შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში;

ე) არ დაუშვას, ხოლო შესაბამისი ფაქტის შემთხვევაში, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დაუყოვნებლივ აღკვეთოს თამბაქოს მოხმარება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა;

ე) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლი, მესაკუთრე/მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შესაბამის საზოგადოებრივ ტრანსპორტში თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესები და აღკვეთოს ამ წესების შეუსრულებლობის ფაქტები.“

10. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 10¹ და 10² მუხლები:

„მუხლი 10¹. სიგარაბარის მოწყობის ნებართვა და სანებართვო პირობები

1. სიგარაბარის მოწყობის ნებართვის გაცემას, გაუქმებას, მასში ცვლილების შეტანას, უწყებრივ სანებართვო რეესტრში გატარებას და ამ ნებართვასთან დაკავშირებულ სხვალონისძიებებს, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ კანონის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2. სიგარაბარის მოწყობის ნებართვა გაიცემა 4 წლის ვადით.

3. აკრძალულია ამ მუხლით გათვალისწინებული ნებართვის სხვა პირისათვის გადაცემა.

4. აკრძალულია საგარაბაროში მომხმარებლისათვის სხვა რაიმე სახის პროდუქტის შეთავაზება ჩუქების, გაყიდვის ან გასინჯვის მიზნით, გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სიგარისა და სასმელისა.

5. აკრძალულია სიგარაბაროში არასრულწლოვნის დაშვება.

6. სიგარაბარის მესაკუთრე ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი სახანძრო-სამაშველო დანაყოფის საკონტაქტო ინფორმაცია.

7. სიგარაბარის მოწყობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა ნებართვის მისაღებად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წარსადგენ განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები:

ა) შესაბამისი დაწესებულების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ სიგარაბარო განლაგებული იქნება იზოლირებულ შენობაში ან შენობის იზოლირებულ ნაწილში, ექნება ცალკე შესასვლელი, შენობის სხვა ნაწილებთან დაკავშირებული იქნება ყრუ კედლით, ექნება ვენტილაცია და სიგარის კვამლი ვერ მოხვდება სხვა შენობა-ნაგებობაში ან შენობა-ნაგებობის სხვა ნაწილში;

გ) ვენტილაციის სისტემის გამართული მუშაობის შესახებ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი;

დ) ელექტრო დამატენიანებელი აპარატის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ინფორმაცია დაწესებულების თანამშრომლების (დასაქმებულების) თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის და მოხმარების წესებთან დაკავშირებული წესების სწავლების შესახებ.

8. სიგარაბარის ნებართვის მფლობელი ნებართვის მიღებიდან 1 წლის შემდგომ და ყოველ მომდევნო წელს ვალდებულია სიგარაბარის ნებართვის გამცემს ყოველწლიურად წარუდგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაბამისი წლის მიხედვით მისი წლიური ბრუნვის მინიმუმ 15%-ს შეადგენდა სიგარის რეალიზაციიდან მიღებული თანხა.

მუხლი 10². პასუხისმგებლობა სიგარაბარის მოწყობის სანებართვო პირობების შეუსრულებლობისათვის

1. სიგარაბარის მოწყობის სანებართვო პირობების შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით.

2. ამ კანონით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად. სიგარაბარის ნებართვის მფლობელი პირის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ამ პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

3. თუ სიგარაბარის ნებართვის მფლობელი კვლავ არ შეასრულებს სანებართვო პირობებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმების გადახდის მიუხედავად, ნებართვის გამცემი პირი იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაუქმების შესახებ. ნებართვის გაუქმებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის და საქმის განხილვის უფლება აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის ორგანოს.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოქმის ფორმას, მისი შევსებისა და წარდგენის წესს ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ბრძანებით, ხოლო სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“

11. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. კანონის შესრულების სახელმწიფო კონტროლი

1. ამ კანონის შესრულების სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ კანონის შესრულების მიზნით, თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული საკითხების ადმინისტრირებისათვის, უფლებამოსილ დაწესებულებებს შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაონ და გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტები.“

12. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12¹ მუხლი:

„მუხლი 12¹. გარდამავალი დებულებები

1. 2020 წლის 1 იანვრამდე დასაშვებია სტადიონის ტერიტორიაზე მოწვევა.

2. 2020 წლის 1 იანვრამდე დასაშვებია თამბაქოს მოწვევა სასტუმროს ნომრების არაუმეტეს 20%-ში. დაუშვებელია სასტუმროს მოსაწევ და არამოსაწევ ნომრებში თამბაქოს მოწვევის რეჟიმის ცვლილება. მოსაწევი ოთახების ნომრები უნდა გამოიყოს სასტუმროს ადმინისტრაციის სპეციალური ბრძანებით, რომელიც უნდა განთავსდეს სასტუმროს თვალსაჩინო ადგილზე.

3. 2018 წლის 1 მაისამდე:

ა) საქართველოს მთავრობამ მიიღოს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის “ა” და “ბ” ქვეპუნქტებითა და მე-6 პუნქტით და მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტები.

ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გამოსცეს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტითა და მე-10 მუხლის 1⁴ პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებები.

გ) საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა გამოსცეს ამ კანონის მე-10 მუხლის 1⁴ პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტი;

დ) საქართველოს ფინანსთა მინისტრმა გამოსცეს ამ კანონის 10² მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანება.

ე) შესაბამისმა დაწესებულებებმა/უწყებებმა ამ კანონთან შესაბამისობაში მოიყვანონ თავიანთი სამართლებრივი აქტები.

4. საქართველოს მთავრობამ 2018 წლის 1 მაისამდე მიიღოს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტითა და მე-6 მუხლის მე-9-მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტები.

7. 2019 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით შესაძლებელია თამბაქოს ნაწარმზე დატანილ იქნეს წარწერა თამბაქოს ნაწარმისგან გამოფრქვეული ნივთიერებების შესახებ.

მუხლი 2.

2019 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნაწარმის შეფუთვა დასაშვებია ამ კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-6 მუხლის მე-9-მე-12 პუნქტებით დადგენილი სტანდარტიზების წესის გარეშე, ამ კანონის ამოქმედებამდე დადგენილი წესებით.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი-მე-11 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი-მე-2 პუნქტები, მე-3 პუნქტი (გარდა ამ პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტისა), მე-4 პუნქტი (გარდა ამ პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“-„ო“ ქვეპუნქტებისა), მე-5 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ.ა“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები და მე-6-მე-12 პუნქტები ამოქმედდეს 2018 წლის 1 მაისიდან.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი, პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ და „ო“ ქვეპუნქტები და ამ კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „დ.ბ“ და „დ.გ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2018 წლის 1 სექტემბერიდან.

4. ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

თბილისი,
2017 წლის
№